სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა - 38 194.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 38 181.9 ათასი ლარი, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელზე - 4 451.2 ათასი ლარით მეტია.



სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 83%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 3%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 14%.

**სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო**

სსიპ - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის 2014 სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა - 680.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 592.8 ათასი ლარი, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელზე - 87.1 ათასი ლარით ნაკლებია.




სსიპ - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 79.3%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 20.7%.

## სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისათვის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა - 3 500.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 3 479.8 ათასი ლარი, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელზე - 285.1 ათასი ლარით ნაკლებია.


2013-2014 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



## საქართველოს საპატრიარქო

საქართველოს საპატრიარქოსათვის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა - 25 640.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 25 630.9 ათასი ლარი, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელზე - 634.8 ათასი ლარით მეტია.

2013-2014 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება




საქართველოს საპატრიარქოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 85.3%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 14.4%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.3%.

**სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო  
ექსპერტიზის ეროვნული ბიურო**

სსიპ \_ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა და ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 3 500.0 ათასი ლარი. აღნიშნული მაჩვენებელი სრულად შეესაბამება გასული წლის შესაბამის პერიოდს.


2013-2014 წლებში გამოყოფილი  
დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



**სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - საქსტატი**

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა - 14 600.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 14 949.2 ათასი ლარი, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელზე - 8 567.7 ათასი ლარით მეტია.


2013-2014 წლებში გამოყოფილი  
დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 96.6%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 3.3% ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.1%.

## სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური


სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის 2014 გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 300.0 ათასი ლარი ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 1 230.1 ათასი ლარი, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 610.8 ათასი ლარით მეტია. 2014 წლის გაწეულ საკასო ხარჯს და 2013 წლის მაჩვენებელს შორის სხვაობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური ფუნქციონირება დაიწყო 2013 წლის ივლისში.



სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის 2014 წლის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა გეგმის - 98.8% ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 1.2%.

## სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსათვის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა - 2 400.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 2 254.4 ათასი ლარი, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელზე - 1 101.4 ათასი ლარით მეტია.




სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 98.64%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 1.34%, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით - 0.02%.

### სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსათვის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა - 750.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 725.5 ათასი ლარი, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელზე - 148.5 ათასი ლარით მეტია.


2013-2014 წლებში გამოყოფილი დაზუსტებული ასიგნებები და ფაქტიური დაფინანსება



სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 97.2%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 2.8%.

### პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი


პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისათვის 2014 წლის გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა - 600.0 ათასი ლარი ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 588.0 ათასი ლარი, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელზე - 385.3 ათასი ლარით მეტია. გაწეულ საკასო ხარჯს და 2013 წლის მაჩვენებელს შორის სხვაობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა ფუნქციონირება დაიწყო 2013 წლის ივლისში.



პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა გეგმის - 95.7% ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 4.3%.

#### სავაჭრო-სამრეწველო პალატა

სავაჭრო-სამრეწველო პალატისათვის 2014 წლის გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა - 3 700.0 ათასი ლარი ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 3 655.9 ათასი ლარი, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელზე - 2 365.6 ათასი ლარით მეტია.



სავაჭრო-სამრეწველო პალატისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლით გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა გეგმის 93.1%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 6.9%.



**ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებსა და დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის შესახებ**

**03 00 - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო მაჩვენებლებს შორის 15%-იანი შეუსაბამობა გამოწვეულია ვაკანტური თანამდებობის არსებობიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ხარჯების აუთვისებლობით;**

**04 00 - საქართველოს მთავრობის კანცელარია - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით;**

**09 02 - მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით;**

**20 00 - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფით.**

**21 00 - დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფით.**

**23 05 - საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის გამოწვეულია სასწავლო კურსებისა და სისტემის თანამშრომელთა ტრენინგების ორგანიზება/ჩატარებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ასიგნებებში თანხების გადანაწილებით;**

**24 01 01 - ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი სხვაობა გამოწვეულია ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად;**

**24 01 02 – სახელმწიფო ქონების მართვა - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით და ასევე, სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, აღნიშნული კოდის ასიგნებების გაზრდით;**

**24 01 03 - ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საფოსტო კავშირის განვითარება** - დაზუსტებული ასიგნებების შემცირება გამოწვეულია პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან, 2014 წელს შექმნილი სააგენტოების (სსიპ-ციფრული მაუწყებლობის სააგენტო და სსიპ-საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო) ადმინისტრაციული ხარჯებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გამოყოფით და ცალკეულ კოდეზზე ასახვით. გარდა აღნიშნულისა, სხვაობა გამოწვეულია ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად;

**24 03 – სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება** - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

**24 06 – „საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში საჰაერო ხომალდების აფრენა-დაფრენისათვის საჭირო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა)“** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი სხვაობა გამოწვეულია შპს „საქაერონავიგაციისათვის“ საერთაშორისო ანტიტერორისტულ საქმიანობაში საჰაერო ხომალდების სხვადასხვა მარშრუტითა და აფრენა-დაფრენის დროს გაწეული სააერონავიგაციო მომსახურების საფასურის გადასახდელად ასიგნებების გაზრდით სხვა პროგრამული კოდის ასიგნებების შემცირების ხარჯზე;

**24 07 - ბაქო–თბილისი–ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა–ახალქალაქი–კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია** - დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო მაჩვენებლებს შორის 15%-ზე მეტი სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწების რამოდენიმე მესაკუთრის სტატუსისა და ადგილმდებარეობის დადგენა და გამომდინარე აქედან, აღნიშნულ პიროვნებებთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება და მათთვის საკომპენსაციო თანხის გადახდა, წარმოქმნილი ეკონომიის ნაწილი მიიმართა სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების დასაფინანსებლად, რამაც გამოიწვია დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი სხვაობა.

**25 03 - რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია** - დაზუსტებულ გეგმასა და ფაქტიურ გადახდას შორის სხვაობა განპირობა იმ გარემოებებმა, რომ:

- რეგიონალური განვითარების პროექტი I (კახეთი) და II (იმერეთი) ქვეპროგრამების ფარგლებში მიმდინარე პროექტები წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, შესაბამისად მიმდინარეობდა საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმების პროცედურები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შესაბამისთან.
- **ჭიათურის საზაგრო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი იყო ავანსის გაცემა, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო ვერ განხორციელდა.**
- **კონტრაქტორ ორგანიზაციებში შექმნილი ფინანსური სირთულეების გამო, სამუშაოების შესრულება განკუთვნილ დროში ვერ განხორციელდა (გრაფიკის ჩამორჩენა);**

**25 04 - წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია** - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებებმა, რომ წყლის ინფრასტრუქტურის

განახლების პროექტი II (EIB,EU) - ქვეპროგრამის ფარგლებში საპროექტო დოკუმენტაციები შეიცვალა დონორის მოთხოვნით, რის შედეგადაც ვერ განხორციელდა სამშენებლო სამუშაოები;

**25 05 - იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა** - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია USAID-ის პროექტების ხაზით დონორის მიერ პირდაპირ გაწეული ხარჯების პროექტის ანგარიშგებაში ასახვის გამო;

**26 01 - სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან თანხების გამოყოფით;

**26 08 - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა** - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

**26 10 - იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა** - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ბათუმის და ახალციხის იუსტიციის სახლებისთვის ჩილერების შეძენასთან დაკავშირებული ექსპერტიზის პროცედურების დროში გახანგრძლივებით, რის გამოც აღნიშნული მიმართულებით გათვალისწინებული სახსრების ათვისება ვერ მოხერხდა წლის ბოლომდე;

**28 02 - მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში** - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა გამოწვეულია სსიპ – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის მიერ რიგი მივლინებების გადადებით, ვაკანტური თანამდებობის არსებობიდან გამომდინარე კავშირგაბმულობისა და საწვავი მასალების შეძენის ხარჯების ათვისებლობით, აგრეთვე საჭირო არ გახდა დამქირავებლის მიერ სოციალური დახმარების გაწევა ფულადი ფორმით.

**29 05 - კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად შექმნილი „სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო“-ს ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებით;

**29 06 - ვეტერანთა მხარდაჭერა** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ჩამოყალიბებული „სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“-ს ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებით, ხოლო დაზუსტებულ გეგმასა და საკასო მაჩვენებლებს შორის 15%-იანი შეუსაბამობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოების განხორციელებისათვის გათვალისწინებული თანხა არ იქნა ათვისებული სამსახურის მიერ, რადგან ვერ მოესწრო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. ადმინისტრაციული

შენობის გაუმართაობის გამო ვერ მოხდა საშტატო განრიგის სრულად დატვირთვა, საოფისე ინვენტარის შექმნა და სარემონტო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხების ათვისება.

**32 02 04 - განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისება** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, საინიციატივო ჯგუფებიდან და სხვა კერძო ორგანიზაციებიდან წარმოდგენილი იქნა პროექტები, რომლის ნაწილი არასრულყოფილი იყო და შესაბამისად არ განხორციელდა მათი დაფინანსება;

**32 02 06 - მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მოსწავლეთა სტატისტიკური დაზუსტებული მონაცემების საფუძველზე დამტკიცებული გეგმით განსაზღვრული ასიგნებები საკმარისი არ აღმოჩნდა დასახული ამოცანების (ყველა საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლეთა და ასევე, კერძო სკოლის იმ მოსწავლეთა, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები, სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების სასწავლო მიზნით ბეჭდური ფორმით რეპროდუცირება და აღნიშნული სახელმძღვანელოების დისტრიბუცია) სრულყოფილად განსახორციელებლად, შესაბამისად განხორციელდა პროგრამის ასიგნებების გაზრდა;

**32 02 07 - საზაფხულო სკოლები** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიით, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად მიიმართა სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად, მათ შორის საქართველოს მთავრობის მიღებული გადაწყვეტილების თანახმად საერთო სახელმწიფო გადასახდელებში;

**32 02 09 - სასჯელადსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამა** - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2014 წლის II კვარტლიდან ბენეფიციარის არ არსებობის გამო შეჩერებული იყო N5 ქალთა პატიმრობის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ზოგადი განათლების უზრუნველყოფის” ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება, ასევე „პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა ზოგადი განათლების უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ქუთაისის N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ მიმდინარეობდა ჰუმანიტარული მიმართულების კუთხით საგანმანათლებლო პროცესი, ვინაიდან 2014 წლის ნოემბრამდე ვერ მოხერხდა აღნიშნული მიმართულების პედაგოგის შერჩევა;

**32 02 10 - ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად;

**32 03 01 პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის, ინვენტარით აღჭურვისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებლად.

**32 03 02 - ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს გამოწვეულია სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების

სკოლის ადმინისტრაციის საშტატო განრიგით გამოწვეული ცვლილებებითა და სასწავლო პროგრამებში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით;

**32 04 02 04 - სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია იმ გარემოებით, რომ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებების შესაბამისად 2014 წლის პირველი იანვრიდან სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებს და წევრ-კორესპონდენტებს გაეზარდათ შრომის ანაზღაურება;

**32 04 02 05 - მეცნიერების აღდგენა და განვითარება** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ, აგრეთვე დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ „მეცნიერების აღდგენა და განვითარების“ პროგრამიდან საანგარიშო პერიოდში არ ხორციელდებოდა ხარჯვა, ასიგნებები ნაწილდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ხელშესაწყობად;

**32 04 04 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების მიზნით პროგრამიდან „მეცნიერების აღდგენა და განვითარება“ თანხების გადმოტანით, ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების საკასო ხარჯის ნაწილში ასახვით;

**32 05 02 - საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ინფრასტრუქტურის სააგენტოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო საგანმანათლებლო დაწესებულებების ნუსხა, რამაც გამოიწვია პროგრამის ასიგნებების გაზრდა;

**32 06 - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს** - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კომპაქტში შემავალი პროექტების დაგეგმვის შედეგად გადაწყდა, რომ აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მოთხოვნით სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყებულიყო 2015 წლიდან. ამასთან კომპაქტი ძალაში შევიდა 2014 წლის 1 ივლისს, ხოლო პროგრამული დაფინანსების გამოყენება დაიწყო ივლისის ბოლოდან.

**33 02 - ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ** - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

**33 05 01 - კულტურის სფეროს ფინანსური გაძლიერების პროგრამა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნული პროგრამიდან ასიგნებები სამინისტროში შექმნილი საქართველოს კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით გადანაწილებულ იქნა სხვა პროგრამებზე, რის შედეგადაც დაფინანსდა: ფილმის „ზამთრის სიმღერა“ გადაღებასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ხარჯები, უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელოვნებო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტის სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები, ქ. სტამბულში გამოფენისა და კონცერტის „თურქეთი ქართულ ხელოვნებში“ გამართვის ხარჯები, სამინისტროს

აპარატის თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისა და დანამატების დასაფინანსებლად საჭირო ხარჯები, პროექტის „ერთჯერადი გამოყენების ვაუჩერები საქართველოს ბიბლიოთეკებისთვის“ განხორციელების ხარჯები და სხვა კულტურული ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებული ხარჯები.

**33 05 02 - კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდი** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნული პროგრამიდან ასიგნებები გადანაწილებულ იქნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სხვა პროგრამებზე, რის შედეგადაც დაფინანსდა: ა(ა)იპ - თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები, ფესტივალის „Batumi Musicfest“ ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები, ა(ა)იპ შემოქმედებითი სახლისთვის „ჯარისკაცის მამა“ უძრავი ქონების შეძენისა და უვადო სარგებლობაში გადაცემის ხარჯები, ფილმის „ზამთრის სიმღერა“ გადაღებასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ხარჯები, სსიპ - საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის კომუნალური ხარჯების დაფარვის, სამტატო რიცხოვნობისა და სახელფასო ფონდის მოწესრიგებასთან დაკავშირებული ხარჯები, დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში სახელოვნებო წრეების ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები, სამინისტროს აპარატის თანამშრომელთა მატერიალური წახალისების, დანამატებისა და დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების ხარჯები, „ახალი ქართული ინიციატივა, მცირეზღვრის საავტორო კინოს განვითარების პროგრამა“, „რეგიონული კინოპროექტის“ ორგანიზებასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა და სხვა კულტურული ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებული ხარჯები.

**35 01 03 - დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა** - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

**35 01 07 - ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამა** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის ცენტრის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. წლის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა ცენტრის რეორგანიზაცია, შესაბამისად არ განხორციელებულა საოფისე ფართის გადაცემა და არ გაწეულა კომუნალური მომსახურებისა და დაცვის ხარჯები. ასევე არ განხორციელებულა კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა;

**35 01 08 - სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამა** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სსიპ-სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დაფინანსება ხორციელდებოდა „სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება“ პროგრამის ასიგნებიდან. საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 1 სექტემბრიდან დაემატა ახალი პროგრამული კოდი, რომელიც შესაბამისად არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში, ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სამტატო განრიგში არსებული ვაკანტური ადგილებით და ასევე, რომ ცენტრისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკა შესყიდულ იქნა სამინისტროს მიერ.

**35 03 01 - ჯანმრთელობის დაზღვევა და 35 03 02 - მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ, საქართველოს

მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრული ბენეფიციარების გარკვეული ნაწილი გახდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების მოსარგებლები;

**35 03 03 06** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა გაზრდილი რაოდენობით, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ:

- ✓ 1 აპრილიდან შეწყდა „სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლების ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 დადგენილებით განსაზღვრული პროგრამა;
- ✓ 1 სექტემბრიდან შეწყდა „ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებით განსაზღვრული პროგრამა;

**35 03 03 13** - ყველა ფორმის ტუბერკულოზის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის პროგრამა - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გლობალური ფონდის პროგრამის ბიუჯეტის დამტკიცების დროს ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობაზე დამყოლობის ფულადი წახალისების სქემის ოპერირების პრინციპები. გამომდინარე აქედან წლის განმავლობაში დაემატება აღნიშნული პროგრამული კოდი, ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

**35 03 03 14** - საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით - დამტკიცებულ, დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია საკასო ხარჯის ნაწილში წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით;

**35 03 04 05** - ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა- სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პროგრამის ფარგლებში ამბულატორიული და სტაციონარული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტების ფარგლებში შემცირებული პროვაიდერების რაოდენობის შედეგად წარმოიქმნა ეკონომია, რომელიც წლის ბოლოს გადანაწილდა ჯანმრთელობის დაცვის სხვა პროგრამებში;

**35 03 04 07** - სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია იმ გარემოებით, რომ იანვარში განხორციელებული ცვლილების შედეგად ამოღებული იქნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანადაფინანსების ვალდებულება და 2014 წლის 1 იანვრიდან სასწრაფო სამედიცინო დახმარების

მომსახურება სრულად ფინანსდება პროგრამის ფარგლებში. აგრეთვე, 2014 წლის 1 აპრილიდან „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვეო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 დადგენილებით განსაზღვრული პროგრამის შეწყვეტის გამო, გაიზარდა პროგრამის ბენეფიციარების რაოდენობა.

**35 03 04 08 - სოფლის ექიმი** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია პროგრამის რეფორმის ფარგლებში განსაზღვრული გადაუდებელი ამბულატორიული მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნების, სამედიცინო დოკუმენტაციისა და „ექიმის ჩანთით“ უზრუნველსაყოფად, ასევე სოფლის ექიმისა და ექთნის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დაფინანსების 30%-იანი ზრდით. გარდა აღნიშნულისა, გაიზარდა შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის დამატებითი ღონისძიებების დაფინანსება სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების.

**35 03 04 09 - რეფერალური მომსახურება** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სამედიცინო დახმარების მსურველ მოქალაქეთა მომართვიანობიდან, ასევე პროგრამის ხარჯვის დინამიკიდან გამომდინარე, მოსახლეობისათვის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;

**35 03 05 - დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის მიღებული გადაწყვეტილების თანახმად საერთო სახელმწიფო გადასახდელებში თანხების მიმართებით;

**35 03 06 - სამედიცინო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების მიზნით, სამედიცინო დაწესებულებების ფინანსური ხელშეწყობის ღონისძიებები** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს მთავრობის დავალების შესაბამისად სამინისტროს ასიგნებებში განხორციელდა თანხების გადანაწილება სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“-ს სამედიცინო დაწესებულებების მიმართ წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის მიზნით.

**35 05 - შრომის პირობების მონიტორინგის პროგრამა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის მიღებული გადაწყვეტილების თანახმად საერთო სახელმწიფო გადასახდელებში თანხების მიმართებით;

**35 06 - სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის მიღებული გადაწყვეტილების თანახმად საერთო სახელმწიფო გადასახდელებში თანხების მიმართებით;

**36 01 - ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხების გამოყოფით, ასევე საქართველოს მთავრობის დავალებების შესაბამისად სამინისტროს ასიგნებებში თანხების შიდა გადანაწილებით

**36 02 - ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება** -



დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა განპირობებულია ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ბუნებრივი აირის ფაქტიური მოხმარებით;

**36 03 - ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და 36 04 - სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება** - დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯებს შორის შეუსაბამობა განპირობებულია ზოგიერთი პროექტების დასრულების შედეგად ფაქტიური ხარჯის ასახვით და ასევე, მიმდინარე პროექტებზე დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ფაქტიური გადახდებით;

**37 01 04 - ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი სხვაობა გამოწვეულია ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად, ხოლო დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის - ქვეყნის შიგნით ჩასატარებელი ღონისძიებების (გამოფენა/დეგუსტაციები) გეგმის შეცვლით;

**37 01 05 - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები** - დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შემდეგ, თანამშრომელთა დანიშვნა განხორციელდა ეტაპობრივად იანვარ-მაისში, შესაბამისად გათვალისწინებული ასიგნებები სრულად არ იქნა ათვისებული;

**37 01 06 - სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი სხვაობა გამოწვეულია ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად, ხოლო დაზუსტებულ და საკასო შესრულებას შორის სხვაობა ძირითადად გამოიწვია ცენტრისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გადმოცემის პროცესის დაგვიანებამ და დაგეგმილი - სასოფლო სამეურნეო ტექნიკისა და სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვის მიზნით ჩატარებული ტენდერების უარყოფითი შედეგით დასრულებამ;

**37 01 07 - შეღავათიანი აგროკრედიტები** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი სხვაობა გამოწვეულია ასიგნებების ნაწილის გადანაწილებით სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად;

**37 01 09 - აგროსექტორის განვითარება/ხელშეწყობა** - დაზუსტებულ და საკასო შესრულებას შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პროგრამის ფარგლებში (მევერა-შერთულას) საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ერთი ტენდერი შეწყდა (ტენდერში მონაწილე არასათანადო კვალიფიკაციის მქონე კომპანიების გამო) და ტენდერი გამოცხადდა განმეორებით, რამაც გამოიწვია სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება დაგვიანებით;

**37 01 15 - აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად აგროდაზღვევის ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებებში თანხების გადანაწილებით;

**37 01 16 - ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად

ვაშლის (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებებში თანხების გადანაწილებით;

**37 01 17 - ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებები** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებებში თანხების გადანაწილებით;

**37 01 19 - მანდარინის (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად მანდარინის (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებებში თანხების გადანაწილებით.

**37 03 - მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება** - დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით;

**38 06 - გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა** - დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით საკასო ხარჯის ნაწილში.

**38 07 - გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია** - დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა გამოწვეულია წლის განმავლობაში მიღებული მიზნობრივი გრანტების ასახვით საკასო ხარჯის ნაწილში.

**39 01 - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით, ასევე სამინისტროს აპარატის მივლინების, წარმომადგენლობითი, თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისა და კომუნალური ხარჯების დაფინანსების მიზნით ასიგნებების გაზრდით, ხოლო სხვაობა - დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია აპარატისათვის საანგარიშო პერიოდში ჩამორიცხული და დამტკიცებული მიზნობრივი გრანტების ათვისებით;

**39 02 - სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხების გამოყოფით.

**41 00 - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი** - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის განპირობებულია აპარატისათვის საანგარიშო პერიოდში ჩამორიცხული და დამტკიცებული მიზნობრივი გრანტების ათვისებით;

**45 08 - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი და 45 11 - საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული

უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტის ასიგნებების შემცირების ხარჯზე საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებების ასიგნებების გაზრდის მიზნით.

**47 02 – სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა** - სხვაობა დაზუსტებულ ასიგნებებსა და საკასო ხარჯს შორის გამოწვეულია ჯანდაცვის სფეროში დაუკვირვებადი ეკონომიკის კვლევის დონორის მიერ დაფინანსებით, რამაც დაზოგა საბიუჯეტო სახსრები;

**52 00 - სავაჭრო-სამრეწველო პალატა** - სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის გამოწვეულია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით.